საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პირველი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გადახდა. 6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღია 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე დღეებში კონტორა დაკეტილია.
კონტორის ტელეფ. 5 73.

ნელინადი მეექვსე | ხუთშაბათი. თებერვლის 26 1920 წ. № 43 | ფასი 4 მან.

ანნა იესის ასული, ნინო დიმიტრის ასული, მიხეილ ივასიოლის ძე და სოფიო ბაგრატის ასული მანსვეტაშვილები, ბოლითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 24 ამ თვის გარდაიცვალა მათი ძვირფასი და საყვარელი ექიმი

ვასილ მიხეილის ძე მანსვეტაშვილი,

პირველის შვილი, მეორეს ქმარი, მესამეს მამა და უკანასკნელის მამამთილი. პანაშვიდი ხუთშაბათს საკუთარ ბინაზედ საღამოს 8 საათზე, ოლღას ქუჩა, № 3. გამოსვენება 27 ამ თვის დილის 10 საათზე ფმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ვერაზე, დაკრძალვა მოხდება იქვე სასაფლაოზე. 2900 1—1

ᲮᲐᲮᲔᲚᲝᲕᲜᲘᲡᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

ᲔᲕᲚᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ.

დღეს, თებერვლის 26-ს

„ᲒᲐᲚ-ᲛᲐᲡᲙᲐᲠᲐᲓᲘ“

1-ᲚᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲐ ᲣᲙᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

„სასოფლო გაზეთს“ ექნება შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მეცნიერება და მეცნიერეობა, მესაქონლეობა, **ვაჭრობა** და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მეურნეობა, სასოფლო ცხოვრება.
„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას ღებულ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.
რედაქცია თავის მკითხველებს მიიწვევს რჩევას და დარიგებას იურიდიულ, საბუღალტერო და სამეურნეო საკითხებში.
გაზეთს რედაქტორობს **ნიკო კიკნაური**
რედაქცია იმყოფება დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 8 მან.
ოთხო ნომერი 2 მან. 4—3 6

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ

ᲒᲐᲛᲒᲖᲝᲒ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

1920 წ. ჯარში გასაწვევ სიებში შეხატან ახალგაზრდა მოქალაქეთა საყურადღებოდ.

საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქენი, მცხოვრებნი ქ. თბილისში, გარდა მაჰმადიანებისა, დაბადებულნი 1900 წელში, უნდა იყვნენ ჯარში გაწვეულნი 1920 წ. 15 ნოემბრიდან. მთავრობის ახალი განკარგულებით ხელნებულ პირთა მორიგ გასაწვევ სიებს შეადგენენ ქ. თბილისში უბნის კომისარიატები. გასაწვევი სიების შედგენა უნდა დამთავრდეს ამა წლის არ. 15-ს. ამიტომ თბილისის ყველა მოქალაქე, დაბადებული 1900 წ., მოვალე არის მარტის 1 დან 5 დის გამოცხადდეს თავის უბნის კომისარიატში, რათა აიკიდონოს თავიანთ კონტიერი პასუხსგებ და სიაში შესატანად. განცხადებასთან ერთად წარუდგინოს თავისი დაბადების ან აგრეთვე მამის და ძმების დაბადების მეტრიკული მოწმობები ანუ სხვა წლოვანობის დასამტკიცებელი კანონიერი საბუთები.

განცხადებაში უნდა იყოს მოხსენებული ნამდვილი ცნობები ოჯახის შემადგენლობისა (მამა ან მამინაცვალი, დედა ან დედინაცვალი, ყველა ძმები გაუნურევლად მისა სხვა ვარიანტებენ მამის ოჯახში თუ ცალკე ან თუ უკვალოდ არიან დაკარგულნი, დები, პაპა და ბებია). მამისა და ძმების ოლოვანება უნდა იყოს აღნიშნული დაწვრილებით (წელიწადი, თვე და რიცხვი დაბადებისა).

საცხოვრებელ ადგილის მიხედვით შეიძლება შეტანილი იქმნენ თბილისის უბნების გასაწვევ სიებში რესპუბლიკის სხვა მაზრების და ქალაქების მცხოვრებლად ის ახალგაზრდა მოქალაქენი, რომლებიც განცხადებასთან ერთად ამა წლის 1 მარტამდე წარუდგენენ თავის უბნის კომისარიატს მოწმობას იმის შესახებ, რომ ისინი თავის სამსახურის ან ხელობის მიხედვით ცხოვრობენ ქ. თბილისში არა ნაკლებ სამი თვისა.

ის ჯარში გასაწვევი მოქალაქე, რომელიც ოჯახის მდგომარეობის მიხედვით არის ნამდვილი ერთად-ერთი მარჩენალი ოჯახისა, თანანმად 1919 წ. 20 მაისის კანონისა, მოვალეა ეხლავე და არა უგვიანეს ა. წ. 15 ნოემბრისა აიღოს სათანადო მოწმობა თბილისის ქალაქის გამგეობიდან, იგი თუ ქალაქის მკვიდრი მცხოვრებია და თავისი სამუშაო ერობის გამგეობისაგან, თუ იგი მცხოვრებია სხვა მაზრისა ან ქალაქისა, ხოლო თბილისის უბნის გასაწვევ სიაში კი არის შეტანილი. ეს მოწმობა უნდა წარედგინოს ადგილობრივ სამხედრო ნაწილს უფრო სს ამა წლის მაისის 1 დან და არა უგვიანეს 15 ნოემბრისა, რათა მთხოვნელთ არ დაკარგონ უფლება ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლებისა.

თბილისის ქალაქის გამგეობა.



ᲥᲘᲛᲔᲠᲘᲝᲜᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ

(რუსთაველის პრ., 21,)

ᲡᲐᲓᲘᲚᲘ

ყოველ დღე 1—5 საათამდე.

ხუთშაბათს, თებერვლის 26

მე-2 ე კონცერტი ციგურ ს მღერების აღსრულებელი

ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲡᲮᲣᲚᲘᲡ

ᲡᲔᲠᲒᲔᲔᲕᲘᲡ

სკოლა ეტუალების. 6. 6. ევრეინოვის ბალეტი.
დასაწყისი საღ. 11 ს.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ-ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ

ᲪᲘᲠᲙᲘ „ᲞᲠᲘᲡᲢᲔᲜᲘᲡ“

ვერის დაღმართზე. ტელ. 5—62.

ხუთშაბათს, თებერვლის 26-ს 1920 წ.

გაიმართება წარმოდგენა, საუკეთესო ძალთა მონაწილეობით. ევროპაში სახელგანთქმული:

— ᲛᲘᲡᲢᲔᲠ ᲑᲝᲠᲢᲝᲜᲘ —

საერთაშორისო ფალავანების ჭიდაობის გაგრძელება. **ზაგარუიკო—ვენჯალი. სანდაროვი—ერმაკოვი. სტაროშვილი—ემელიანოვი.**

დღეს ახლად მიღებული, შესანიშნავი ახალის დადგმით

მიხვილის ᲐᲚᲙᲐᲠᲔ პლეხანოვის ქ. № 91

„ᲒᲝᲠᲝᲪ ᲒᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲘᲗ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲜᲘ“

ტრაგედია 5 აქტად ეპილოგით.

მთავარ როლში ხახელმწიფო თეატრის მხახიობი ქალი **Რ. Ვ. ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲝᲕᲘ**

თეატრი ითბობა. **ფასები** არ არის გადიდებული.

სიმფონიური ორკესტრი.

პასუხისმგებელი ადმინისტრატორი ა. კორრედო

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲐᲜᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲘ

„ᲢᲐᲕᲘᲠᲘ“

შტაბის ქ. № 6, პუშკინის სკვერის პირდაპირ

ᲩᲐᲑᲐᲠᲓᲐ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲡ.

ყოველ დღე **ხადილი** ცნობილ კულინარ ლავრენტის ხელმძღვანელობით. **სხვა** და **სხვა ხაუზმე, ვახშამი,** ევროპიული და აზიური. ყოველგვარი სასმელი დაკლებულ ფასებში.

2868 10 4 პატივისცემით **დმ. გიგიბერია** და **მ. კაზიშვილი.**

ᲔᲥᲘᲛᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲮᲝᲕᲔᲗ

ᲩᲐᲩᲘᲑᲐᲘᲡ

ᲞᲐᲮᲣᲠᲘ ᲦᲕᲘᲜᲝ

ფირმის მიერ მონაწილეობად მიწვეულები არიან გურჯაანის საუკეთესო მევენახეები. 2862 10 4

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲘ

თებერ 25, 26, | რიგლის 27, 28 ს

ახალი დადგმა! ორიგინალური სიუჟეტი!

პატარა ლამაზი ვარსკვლავი ეკრანის

ᲛᲐᲠᲗᲐ ᲝᲡᲑᲝᲠᲝᲜ

სურათში:

„ᲢᲠᲘ ᲛᲖᲔ“

პროგრამის გარეშე

ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ ᲢᲐᲠᲜᲝᲞᲝᲚᲘᲡᲐᲜ

ᲔᲥᲘᲛᲘ

Დ. Ი. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის ხნვულებანი.

ავადმყოფის მიღება 12—1 ნახ. ს. მადათოვის ქ. № 2. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16-65.

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲘᲕ. ᲦᲣᲚᲐᲫᲔ

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა. მიღება ხალამოს 5—7 ს. მეჩინაკოვის ქუჩა, სახლი № 3, ბინა № 3, მიხვილის პროსპ. შესახვევში. 2899 2 1

ᲛᲝᲜᲝᲞᲝᲚᲘᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘ

მონოპოლიის გზები აბნეული იყო თავიდანვე.

კიდევ უფრო გამოურკვეველია დღეს. როდესაც დამფუძნებელს კრებაში მენშევიკებმა შეიტანეს სამი სტრიქონიდან შემდგარი დეკრეტი თამბაქოზე მონოპოლიის გამოცხადების შესახებ, ჩვენ ისინი გავაფრთხილეთ, რომ ასე დიდი საქმის ზეპირად, წინასწარ დაუმუშავებლად, რაიმე გეგმის შეუდგენლად, გადაჭრა სახიფათო იყო. მათ გვიპასუხეს: გამოვაცხადოთ მონოპოლია და როგორ და რა გზით განხორციელდება ის, მთავრობამ გადასწყვიტოსო. სანამ თვე გავიდა ამის შემდგომ, მაგრამ მონოპოლიის სახელ-დებ-ბ-ბ-ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქსიმალურად, გულით სწრაფად და უხვად! მიწის ძვრით გაუგებრებულ მოძმეთ ალუდგინოთ დანგრეული კერა!

დღეს:

დამფუძნებელმა კრებამ მიწისძვრით დაზარალებულთა სახელდახელო დასახმარებლად 20 მილ. მან. გადასდო. დაზარალებულთ უფასოდ მიეცემათ ტყე, ტანსაცმელი, სურსათი და მედიკამენტები.

ნომხეთის მთავრობამ დაზარალებულთათვის 6 მილიონი მანეთი გადასდო.

სონემის გრობამ ამავე მიზნისთვის 1 მილიონი მანეთი გადასდო.

შავი ზღვის პირის განთავისუფლების კომიტეტი ყუბანის რადას ტუაფსედან ჯარების გაყვანის წინადადება მისცა

ინგლისის ესკადრა კონსტანტინოპოლს მოვიდა.

გერმანიაში 20 იანვრიდან 43110 ტყვე ოფიცერი დაბრუნდა.

სამხრეთ სლავიაში ახალი კაბინეთი შესდგა.

ოსმალეთის სომხების პატრიარქი ზავენი მარსელიდან ლონდონს გაემგზავრა.

ბოლშევიკებმა ტირასპოლი აიდეს

წერილები:

მეთაური—მონოპოლიის გზები

— მიწისძვრა საქართველოში

— ვაჭრობა-მრეწველობა.

ამბობდნენ ატვნის ხეობის შესახებ რომ მთელი ხეობა განადგურებულ იქმნა მეორე მიწისძვრის დროსაო.

უმწეო ხალხი

ჩვენს მისვლამდე ამ ჯოჯოხეთში გახვეული ხალხი პირდაპირ უმწეოდ იყო. არსაიდან არავითარი დახმარება მათ არ ჰქონდათ.

ხიდისთავი

კომისიამ პირველად ხიდისთავი დაათვალიერა. იქ თქვენ ასეთს სურათს შეხვდებოდით: ვენახში თოვლზე, ფეხშიშველი მოხუცნი, ავადმყოფნი, ბავშვები გაგიებულ თვალებით შემოგცქერიან.

ერთად-ერთი მარჩენალი

ან და ასეთი სურათი წარმოგიდგებოდათ თვალწინ: ფეხშიშველი, ხანში შესულნი დედაკაცი თოვლში ჩამჯდარა და რალაცაზე ქვითინებს. ვიკითხებით. ის ქვითინში ბუტბუტებს და ჩვენ გვესმის: „ერთად-ერთი ჩემი შვმნახველი ეს ღა იყო. ამის მეტი არვინ მყავდა“. ამ სიტყვებით მან გადმოთხარა თოვლი და ჩვენ თვალწინ 9—10 წლის თავგადასავლიანი ბავშვი იწვა, ნანგრევში რომ მოჰყოლია და შემდგომ დედას აქ თოვლისთვის მიუბარებია.

ჩვენ ვნახეთ ხანში შესული ცოლქმარი 4 შვილი რომ დაუმარხავთ.

ამისთანა 59 გვამი იყო.

დახმარება

კომისია შეუდგა დახმარების აღმოჩენას.

ჩვენთან ერთად შაბათს დილით გორში მოვიდა 60 ათასი ფუთი პური, შაქარი, საექიმო პერსონალი მედიკამენტები. ჩვენის განკარგულებით ხიდისთავს გაიგზავნა კარვები, მესანგრეები, რომლებიც ჩვენთან ერთად მოვიდნენ გორს და პირველ დახმ. აღმოჩენას შეუდგნენ: სახელდობრ კარვების გამართვას, საკვების აღმოჩენას ნანგრევებიდან და ქვეშ-მოყოლილთა გამოტანას.

გორისკენ რომ გავემგზავრენით, წინ შემოგვხვდა ერობის და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელი.

— როგორ არის საქმე? არის თუ არა რაიმე ზომები მიღებული?

— ჩვენ მხოლოდ ვამხნევებთ ხალხს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენს გამხნევებას, როდესაც ყოველ 2—3 საათის განმავლობაში დაჰკრავს, ისეთს წივილ-კივილი და ხალხი ერთიერთმანეთს ეხეთქება.

ასეთს პირობებში მართლაც და რის გაკეთება შეიძლება!

შეიარაღებულ ძალის თავგანწირვა.

აღსანიშნავია ის თავგანწირვა, რომელიც ამ საშინელ დროს გამოიჩინა ჩვენმა შეიარაღებულმა ძალამ ჯარისა და გვარდიის სახით.

ეს ძალა მიუხედავად შიშისა და სიკვდილისა, თავის ალაგს იყო ამ საშინელ დროსაც და არაფერს ზოგავდა, რომ დახმარებოდა ამ ტანჯვასა და საშინელებაში მყოფ ხალხს. ჩვენი შეიარაღებული ძალა მთელი ღამე ჯარასავით ტრიალებდა, მუშაობდა, ამხნევებდა და ზომებს იღებდა, თუ ვინიცობაა მარადიორები გაჩნდებოდნენ, მათ წინააღმდეგ საათანადო ზომები მიეღო და დაეხვრიტნა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ წამოსვლამდის, შაბათამდის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა მტაცებლობისა. თუმცა თქვენ ხშირად შეგხვდებოდით ასეთ სურათს: დანგრეული სახლი. ეტყობა სასადილო ოთახია. მოსჩანს ჭიქები, ძვირფასი სამოვარი, სხვა და სხვა საოჯახო ნივთები. შკაფის უჯრაში სჩანს ძვირფასი ნივთები და სხვა ამისთანა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მტაცებლობას, მარადიორობას ალაგი არ ჰქონია.

დანგრეული ნაგებობები.

სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა შენობები, რომ გადარჩენილიყო, რასაკვირველია დიდი ბედნიერება იქნებოდა, მაგრამ ყაზარმებიც კი, რომელიც ყველაზე მტკიცე საფუძველი ჰქონდათ, ნახევრად დანგრეულან.

დანგრეულია ეკლესიები ოქონა, სობორო.

ხარების ქუჩაზე უძველესი სომხების ტაძარს ახლო რომ მიუახლოვდებით შენობისთვის თითქოს ვისმეს შუბი გაუკრავს და თავი მოუკვეთიაო. თვით მისი კედლებიც ისეა დაზიანებული, რომ შეანძრიოს ვინმემ გადმოინგრევა.

კომიტეტის დაარსება.

რაკი ასეთი მდგომარეობა იყო, კომიტეტი ამნაირ საკითხის წინაშე დადგა: რაიმე უნდა მოიწყოს, რომელიც გასწევს ერთგვარ ხელის უფლების შემოსილ ძალის მოვალეობას. ჩვენ დავაარსეთ დროებითი ხასიათის კომიტეტი. მასში შევიდნენ: ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები თვითმმართველობის, ერობის, გვარდიის, ჯარის და ქალაქის მცხოვრებთა.

ჩვენი წარმომადგენლობა ბ-ნს ონიაშვილს დავავალეთ. მასვე მიენდო თავმჯდომარეობა ამ კომიტეტის, ვიდრე მთავრობა გგზავნიდეს ერთ ერთ თავის წევრს, საგანგებო უფლებებით აღჭურვილს.

ამ კომისიას დაეკალა განეგრძო მუშაობა სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად, საჭირო სურსათის მისაწვდენად და საევაკუაციოდ.

მცხოვრებთა გახიზვნა.

ამ საკითხს ჩვენ ამნაირად მოუარეთ. გადავწყვიტეთ რომ ხალხი გგზავნეს ბაქრებინა თბილისს ბორჯომს და სურამს. მათი ბორჯომსა და სურამს გამგზავრება სჯობდა, რადგან იქ ბევრი საგარეო შენობებია და მათ შეეძლოთ თავი შეეფარებინათ, მაგრამ გამოირკვა რომ საკმაო სურსათი არ მოიპოვება არც ბორჯომში და არც სურამში. რასაკვირველია ასეთ მწუხარებაში მყოფ ხალხს ლუკმა პურიც რომ არ მიეწოდო არ იქნება და ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ. ხელს ნუ შეუშლიან საითკენ ც უნდა იქით წავიდნენ.

5 საათისთვის პირველი მატარებელი მზად იყო. ამ მატარებელზე მოთავ' და წამოსვლის მსურველთა დიდი ნაწილი. ამ დროს მოგვასწრო მეორე სანიტარულმა მატარებელმა, რომელიც გრაკალში იყო. აქ რომ პირველ გამომგზავრებაზეც ჩვენ შეეძლოთ მოგვეთავსებინა, როგორც ავადმყოფნი ისე იქიდან წამოსვლის მსურველნი.

20 მილიონი პირველ დახმარებისათვის.

მოქალაქენო, აშკარაა რომ ქალაქ გორს და მის მახლობელ სოფლებს უდიდესი უბედურება დაატყდათ თავს, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ერი რომელსაც არა ერთი ასეთი საშინელი ღღე განუცდია, შესძლებს ახლად მოიკრიბოს ნივიერი ძალა, გამხნევდეს და ამ უბედურებიდან ის გამარჯვებული გამოვიდეს. კომისიას გონია, რომ ჯერჯერობით, სწრაფი დახმარებისათვის რეპუბლიკის ხაზინამ უნდა გადასდოს 20.000.000 მანეთი რასაკვირველია ეს არ კმარა. მარტო პირველ დღეს 500 ათასი მანეთის პური გავიდა, ახლა შაქარი, ხორცი, საექიმო დახმარება და სხვა—ყველა დიდ ფულს მოითხოვს.

საჭიროა მილიარდების დახარჯვა, რომ შეეძლოთ გორის აღდგენა. ეს 20 მილიონი მხოლოდ პირველ დახმარებისათვის უნდა გადადგოთ.

ახალი კერის გაჩაღება.

გერდა ამისა, ეკვს გარეშეა, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი გაიძახის: „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ აქ უსათუოდ ვულკანი ამოხეთქსო—კომისიას გონია, რომ ჩვენ უნდა ჩაუნერგოთ ხალხს ის აზრი რომ მან იქვე უნდა გააჩაღოს ცხოვრება, კერა ხელახლა უნდა აანთოს და მკვდრეთით ადადგინოს ცხოვრება.

თავშესაფრების მოწყობა

იმ კარვებში, რომლებიც ჩვენ გავგზავნეთ, მართალია იურტებიც გაიგზავნა, მაგრამ ძნელია რომ ამისთანა პირობებში კარვებსა და იურტებში იცხოვროს ხალხმა. ამისთვის საჭიროა დროებით თავშესაფრების მოწყობა გორში და აგრეთვე სოფლებში. ამისთვის საჭირო ხეტყის მასალა მთავრობამ უფასოდ უნდა მიაწოდოს ხალხს.

უფასო დახმარება

ხალხისთვის აუცილებლად საჭიროა თბილი ტანისამოსი, სანოვაგე, საექიმო დახმარება, მედიკამენტები. ეს ყველაფერი უფასოდ უნდა მიაწოდოს მთავრობამ ხალხს და ის თამამად შესძლებს თითონ გააჩაღოს ჩამქრალი კერა.

მეზობელ სახელმწიფოების დახმარება

მაგრამ თუ ადგილი შეესაძლებელია, რომ ეს საქმე გაკეთდეს მთავრობის დახმარებით, სამაგიეროდ გორის და მახლობელ სოფლების აღდგენა, ეს მეტად ძნელი საქმეა. რაც გინდა მთავრმა ერმა მოიკრიბოს ძალ-ღონე, ჩვენ რასაკვირველია ვერ შეესძლებთ ამ ძნელ საქმის გაკეთებას. ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ მართლაც ეროვნულ ტრაურის დღეები დაგვიდგა.

ჩვენ გვგონია, რომ მეზობელი სახელმწიფოები, მათი ხალხი ამას ჯერიან ყურადღებას მიაქცევენ და შეძლებისდაგვარად ძმურს, კეთილმეზობლურ დახმარებას გაუწევენ ჩვენს ერს.

ფართე ინფორმაციის მოწყობა.

ჩვენ გვგონია, რომ უნდა მოვაწყოთ ფართე ინფორმაცია, როგორც საქართველოში, ისე ევროპაში. ევროპას უნდა ვამცნოთ ეს ჩვენი უბედურება.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ხალხი არ დარჩება განმარტოებული და კაცობრიობის საკეთესო ნაწილი ჯეროვან დახმარებას გაუწევს მას. ამის მაგალითები ვიცით.

უკვე ვხედავთ, რომ ჩვენ უყურადღებოდ არ ვეტოვებენ და ჩვენ სათანადო დახმარების ნიშნები უკვე ხელთა გვაქვს.

საჭირო ზომები.

აი, ბატონებო, ყველაფერი ის, რის მოხსენებაც საჭიროდ სცნო თქვენ მიერ გგზავნილმა კომისიამ, რა ნახა მან, და რა ზომების მიღება სცნო აუცილებელ საჭიროებად.

ჩვენ ჯერ-ჯერობით სახელდახელო დახმარებისათვის უნდა გადადგოთ 20 მილიონი მანეთი.

ჩვენს საწყობებიდან მთავრობამ, ჩვენის დავალებით, უნდა მისცეს დაზარალებულთ თბილი ტანსაცმელი, საკვები და უნდა მოეწყოს დროებითი თავშესაფარი.

უნდა მოვაწყოთ ფართე ინფორმაცია ამ უბედურების შესახებ.

მომხდარ უბედურების ეკრანზე გადაღება.

კომისიას საჭიროდ მიაჩნდა აგრეთვე დროზე ზიმის მიღება, მაგრამ ჩვენს ჩამოსვლამდის მთავრობას ეს უკვე მიეღო. ჩვენის აზრით დაუყოვნებლივ უნდა გამგზავრებულიყო ფოტოგრაფი და სინემატოგრაფის აპარატი, გადაეღოთ მომხდარი უბედურება, რომ ადვილი წარმოსადგენი ყოფილიყო ხალხისთვის ის უბედურება, რომელიც გორში დატრიალდა.

კომისია მთავრობის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ უნდა გამოიყოს კომისია მთავრობის თავმჯდომარეობით. ესეც უკვე გაკეთებულიყო ჩვენს სამოსვლამდის.

ჩვენ იმედს გამოვსთქვამთ, რომ არც ერთი მიყრუებული კუნჭულიც კი ათ დარჩება, რომ თავისი წვლილი არ გაიღოს.

ჩვენს ამ ეროვნულ უბედურებას სათანადო ანგარიშს გაუწევს ევროპა.

მათი დახმარებით და ჩვენის ენერგიით ჩვენ კვლავ ვიხილავთ ქართლის დედაქალაქს მკვდრეთით აღდგენილს და იმ სოფლებს, რომლებიც ამ უბედურების მსხვერპლნი შეიქმნენ, კვლავ აშენებულთ!

თავმჯდომარე მოისმინეთ რა ის საშინელი უბედურება, რომელიც დატყდა ქალაქ გორს და მის მახლობელ სოფლებს, გთხოვთ ფიხზე ადგომით პატივი სცეთ უბედურების მსხვერპლთა ხსოვნას.

დეპუტატები ფეხზე ადგომით პატივს სცემენ განსვენებულთა ხსოვნას.

(დახასრული ხვალ)

მთავრობის საგანგებო კომიტეტის ცნობები მიწის ძვრისაგან მოცემულ ზარალზე

მთავრობის საგანგებო კომიტეტმა შემდეგი დამატებითი ცნობები მიიღო მიწის ძვრისაგან დაზარალების შესახებ:

მიწის ძვრის რაიონი დიდია, ხოლო ის რაიონი, რომელიც განსაკუთრებით დაზარალებულია უჭრის 1200 კვ. ვერსს..

ქ. გორში ითვლებოდა 35.000 მცხოვრები. შენობები სულ ერთიანად დაქმულია. გადარჩა რამოდენიმე შენობა მაგრამ კედლები ისეა დახეთქილი, ზოგნი ჭერია ჩამონგრეული და უნდა დაინგრეს, რომ შიგ ცხოვრება არ შეიძლება.

დღემდის შეკრებილი ცნობებით: დაზარალებულია 50 სოფელი. ამათგან ოცდა ათში სახლები სულ დანგრეულია და დანარჩენ ოცში კი გადარჩა 50 პროც. სახლებისა ეს აიხსნება იმით რომ ამ სოფლებში მიწის ძვრა შედარებითი უფრო სუსტი იყო.

სოფლებში დაზარალდა 8000 კომლამდე, რაც შეადგენს დაახლოებით 40.000 სულს ქ. გორიანათ ერთად დაზარალებულთა რიცხვი უდრის 75.000 სულს.

დღემდის ამოღებულია ნანგრევებიდან 200 მკვდარი.

დაახლოებით ამდენივეა მძიმედ დაშავებული. მსხვერპლის შედარებითი სიმცირე იმით აიხსნება, რომ პირველი მიწის ძვრა მოხდა ნაშუადღევის 2 საათზე და 55 წუთს: მაშინ სახლები ბევრი არ დანგრეულა. შეშინებულნი გარეულ გამოცვივნდნენ და სახლებში აღარ შესულან. მიწის ძვრა განმეორდა ნაშუადღევს 2 საათზე და 45 წ. და როგორც გორი, ისე დაზარალებული სოფლების უმეტესი ნაწილი დაინგრა; ღამის ძვრისაგან შეშინებული ხალხი სახლებში აღარ ყოფილა და ამიტომ გადარჩა.

იმ სოფლებში, რომლებიც განსაკუთრებით დაზარალდნენ, საქონელი (ხარი, კამეჩი, ძროხა, ცხვარი და ღორი) 80 პროც მდე დახოცილია, რადგანაც გომურები შედარებით ცუდი აშენებულია (რიყის ქვისა და ტალახისაგან) და პირველი მიწის ძვრასთანავე მთლად დაინგრა.

47 დაზარალებული ოფ.

24 თებერვალს მთავრობის საგანგებო კომიტეტს გორის სამაზრო ერობის თავმჯდომარე ახალაძისაგან მოუვიდა შემდეგი ტელეფონოგრამა:

„ცნობები გვაქვს ჯერ-ჯერობით შემდეგი სოფლების დაზარალების შესახებ: სკრა, ხიდისთავი, ოხერა, ატვნი, ბოველე, უფლისციხე, ქახვრელი, ყარაღაჯი, ბელთუბანი, ზვენეთი, ფორტიხა, კარალეთი, მეჯვრისხევი, ბეთლემი, რუისი, ქარაღლი, ბებნისი, ტინის ხიდი, რუბნისი, თედო-წმინდა, მავისი, ოთლასა, ღვარები, ზედაქსოვრისი, დოესი, ხინდაკი, შინდისი, ბერბუკი, ოთარშენი, მეტეხი, გრაკალი, სასირეთი, ბარნაბაანთ-კარი, სოქაშეთი, გორა, ავკეთი, ნავისი, რეხ, ახალსოფელი, ზელდველეთი, შავგბი, ნაწრეთი, ახრისი, პატარა-გორი, ჯვარი, დიდი-გორი-ჯვარი და ჯვარი“.

საგარეო საქმეთა მინისტრთან

თანაბარი საგარეო საქმეთა მინისტრთან

გუშინ, 25 თებერვალს საგარეო საქმეთა მინისტრ ბ ნ გეგეჭკორთან სალ. 6 საათზე შესდგა საგანგებო თათბირი, რომელზედაც დაესწრნენ მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი ჰალკელი, ფინანსთა და გზათა მინისტრები.

იტალიის კონსული ბ ნ გეგეჭკორთან

გუშინ, 25 თებერვალს გარეშე საქმეთა მინისტრს ბ ნ გეგეჭკორს წარუდგა იტალიის კონსული ბ-ნი მოზერი.

ბ-ნ ქარციგაძესთან.

გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს ბ-ნ ქარციგაძეს წარუდგა საბერძნეთის წარმომადგენელი რაფაელი.

მთავრობის თავმჯდომარის გამგზავრება.

გუშინ 25 თებერვალს საღამოს 6 საათზე საგანგებო მატარებლით გორში გაემგზავრა მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ჟორდანია.

ინგლისის ჟურნალისტის გამგზავრება

დღეს 26 თებ. სასწრაფო მატარებლით გორში მიემგზავრება ინგლისის ცნობილი ჟურნალისტი სკოტლან ლინდელი ფოტოგრაფიულ აპარატით.

დამფუძნებელ კრების პროექტი

საქართველოში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა პირველი დახმარებისათვის 20.000,000 მან. გადადებისა და სხვა გვარი შეშფოთებისა.

1. გაღებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან მთავრობის განკარგულებაში ოცი მილიონი (20.000,000) მან. საქართველოში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის პირველ დახმარების აღმოსაჩენად.

2. გაეწიოს დაზარალებულთა ყოველგვარი დახმარება—სახელმწიფო საწყობებიდან საკვებისა, ტანსაცმელისა, წამლისა, საალმშენებლო მასალისა და სხვა საგნების უფასოდ მიცემით.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

უცხოეთის მესიათა წარმომადგენლები გორში.

24 თებერვალს სასწრაფო მატარებლით გორში გაემგზავრნენ: ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ბ-ნი ოლ. ფორდროპი, საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი დე-ნონანკური, საფრანგეთის კონსული დიუ-რუა, ბრიტანიის მისიის მდივანი ბ-ნი გრანდი, პოლონეთის წარმომადგენელი ბ. ოსტროვსკი, საფრანგეთის წარმომადგენელი სომხეთში ბ. პუა-დე-ბარი, სამხედრო ატაშე საფრანგეთის მისიასთან ბ-ნი ფორგ, უკრაინის წარმომადგენლის მოადგილე ბ. ტიშკევიჩი, იტალიის მისიის წარმომადგენელნი დ-რი კუკი და მაიორ კამანინი, ამერიკის სომხეთში მისიის წარმომადგენელი მაიორ პეიტონი. მათთან ერთად გაემგზავრენ აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი ქარცივაძე, სახელმწიფო კონტროლიორი ვ. გოგიჩაშვილი, მისი ამხანაგი ბ. ანდრონიკაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრის მდივანი ბ. ნაზაროვი, ექ. ღამბაშიძე, საგანგებო დავალებათა ოფიცერი ორბელიანი და სად. თბილისის კომენდანტი ნიკოლაიშვილი.

გორში ჩასვლისთანავე გორის ქალაქის მოურავის, დამფუძნებელ კრების წევრის იმნაიშვილის და წითელ ჯვრის წარმომადგენელის ექ. ზანდუკელთან ერთად ჩამოსულებმა დაათვალიერეს ქ. გორის და ს. ხიდისთავის ნანგრევები. საღამოს 7 საათზე სასწრაფო მატარებელი უკან დაბრუნდა.

მეზობელ სახელმწიფოთა თანაგრძნობა

საქართველოს მთავრობის დახმარება

ერევნის მთავრობამ გორში და მახლობელ სოფლებში მომხდარ უბედურებით დაზარალებულთათვის 6 მილიონი მანეთი გადასდო.

ნომეხთა ეროვნული საბჭო.

ნომეხთა ეროვნულმა საბჭომ მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდო 50,000 მან. და დადგინა გაიღოს საჭირო თანხა 20 საწოლის შენახვისათვის

აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარისგან

აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარემ ჯაფაროვმა და მდივანმა ქინსკიმ ბაქოში ინახულეს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია და პარლამენტის სახელით ღრმა თანაგრძნობა განუცხადეს საქართველოში მომხდარ სტიქიურ უბედურების გამო და სთხოვეს ეს აუწყოს საქართველოს მთავრობას.

აზერბაიჯანის საგარ. საქმეთა მინისტრის ხანხოველისგან

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხანხოველმა და გზათა მინისტრმა შელიქ ასლანოვმა ინახულეს საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია და მთავრობის სახელით ღრმა თანაგრძნობა გინუცხადეს საქართველოში მომხდარ უბედურების გამო და სთხოვეს ეს აცნობოს საქართველოს მთავრობას.

თანაგრძნობა გურს

(დეპეშა ნატანებიდან—საგარეო საქ. მინისტრს)

„გორის მაზრაში მომხდარ უბედურების გამო მხურვალე თანაგრძნობას მიცხადებენ სხვა და სხვა ჯგუფები და კერძო პირები. სხვათა შორის ასეთი თანაგრძნობა გამომიცხადა მოხალისეთა ჯარის აქაურმა წარმომადგენელმაც. სავეჩრო ამხანაგობამ ტვირთმა თანაგრძნობასთან ერთად გადმომცა ორმოცდა ათი ათასი მანეთი ბონებით მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

სპარსეთის საგანგებო მიხიის მეთაურისაგან

სპარსეთის საგანგებო მიხიის (ბაქოში) მეთაურმა ტაბა ტაბაიამ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ბ-ნ ალშიბაიას ღრმა მწუხარება განუცხადა ქ. გორზე და მისი მოდამოებზე დატეხილ უბედურების გამო და სთხოვა ბ-ნ ალშიბაიას ეს თანაგრძნობა საქართველოს მთავრობას აუწყოს.

ტაბა ტაბაია დაჰპირდა, რომ დაუყოვნებლივ სთხოვს ტელეგრაფით სპარსეთის მთავრობას თეირანში, ყოველგვარი დახმარება გაუწიოს საქართველოს მცხოვრებთათვის ბრინჯის გამოსაზიდად, მანამდე კი თავისი ძალაუფლებით ნება დართოს სპარსეთიდან ამ მიზნით გამოზიდულ იქმნას 50 ათასი ფუთი ბრინჯი.

სპარსეთს ოლონულისგან

საგარეო საქმეთა მინისტრმა შეძდეგი დეპეშა მიიღო სპარსეთის გენერალურ კონსულისგან ამიერ კავკასიაში:

„ბაქოში საჩქაროდ გამგზავრების გამო საშუალება არა მქონდა გულწრფელი მწუხარება და თანაგრძნობა განმეცხადებია თქვენთვის საქართველოს თავს დატეხილ სტიქიურ უბედურების გამო.

დარწმუნებული ვარ, რომ მთავრობის და ერის საერთო ცდით და მეგობარობა გულწრფელ თანაგრძნობით რესპუბლიკა ძალას ჰპოვებს ამ უბედურების გადასატანათ“.

პოლონეთი

პოლონეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობამ კიევიაში ხელის მოწერა გამართა გორში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

უკრაინელები

უკრაინის მთავარ კონსულმა ადგილობრივ უკრაინელებს მოწოდებით მიმართა, რათა მათაც უხვად გაიღონ გორისათვის საჭირო დახმარება.

კათალიკოსი გორში

დანგრეული გორი ინახულა სრულიად საქართველოს კათალიკოსმა ლეონიდემ. უბედურობით შეძრწუნებულ მოსახლეობაზე მათი უწმიდესობის ჩასვლამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა.

„ტარტო“.

ხუთშაბათს, 26 თებერვალს, არტისტიულ საზოგადოების თეატრში დრამატიული ამხანაგობა „ტარტო“ მართავს სპექტაკლს ქალაქ გორის დაზარალებულთა სასარგებლოდ.

პროგრამის მიხედვით სპექტაკლი მრავალ-ფეროვანი და მეტად საინტერესო იქნება.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მუდამ თანამგრძნობი თბილისის საზოგადოება ხალისიანად დაე წროპა აღნიშნულ სპექტაკლს და ამით თავის წვლილს გაიღებს უმწეოთა დასახმარებლად.

სახელოვნო ცენტრმა 24 თებ. სხდომაზე დაადგინა, მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ, მოკლე დროში მოაწყოს „გორის დღე“ ვრცელის პროგრამით, პროგრამის სასწრაფოთ შემუშავება მიენდო განსაკუთრებულ კომისიას.

ებრაელებისაგან

ებრაელთა ეროვნულმა საბჭომ გახსნა ხელის მოწერა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ძმ. ხკობელიანებმა ბაქოდან გადმოგზავნეს 200,000 მან მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

მასწავლებელთა კავშირში. საქართველოს მასწავლებელთა კავშირმა დაადგინა გახსნას ხელის მოწერა გორის ამბებისათვის შეწირულების შესაკრებად.

შემოწირულებანი

გორის დაზარალებულთათვის შემოსწირეს: ვლად. ალშიბაიამ 500 მ., ლუარსაბ ცხვარაძემ 2.000 მ., ივანე ქურთიშვილმა 200 მ., ოლღას ხუტორის მუშებისაგან 200 მ., მის გამგესაგან 200 მანეთი. ზაქარია გულიაშვილისაგან 1500 მ., პატარა რომანე თიკო და თამარ ღომიძეებმა 50 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელავის ვაჭრებმა ბაგრატ სიმონოვის ხელმძღვანელობით ორი ათას ორასი მანეთი 2,200 მანეთი ტერ გეურქ მელიქოვმა 100 მან., ტიგრან ტერ სარქისოვმა 100 მან., არშაკ არუთინოვმა 100 მან., გიორგი მნაცაკანოვმა 100 მ., იოსებ მნაცაკანოვმა 100 მან., გიორგი ვართანოვმა 50 მან., ბუღდან ქამალოვმა 100 მან., ვანო კამალოვმა 100 მან., სანდრო კირაკოზოვმა 50 მ., გიორგი სიმონოვმა 100 მან., გიორგი ახალქალაქელმა 100 მან., არმენაკ აბრამოვმა 100 მან., გრიგოლ ზამუკოვმა 100 მან., დავით ბაპოვმა 100 მან., მელქო აბრამოვმა 100 მან.

ს. ეკატერინწყალდი.

23 თებერვალს სამაზრო ერობის შენობაში შესდგა არაჩვეულებრივი კრება ერობის თავმჯდომარის პ. კვაკანაძის მეთაურობით, რომელსაც დაესწრნენ გამგეობის წევრნი, ხმოსნები და სხვა და სხვა ჯგუფის და პოლ. პარტიათა წარმომადგენელნი. კრების თავმჯდომარემ ამცნო საზოგადოებას გორში სტიქიის მიერი უბედურება, დაწვრილებით გადასცა ტრაგედიის სიძლიერე, მრავალ ათასეულ ოჯახების უმწეო მდგომარეობა მოუწოდა საზოგადოებას შეედგინა დამხმარე კომიტეტი გორში დაზარალებულთა სასარგებლოდ. ხალხმა ერთხმად სურვილი გამოცხადა გორის აღსადგენად ყოველივე დონე ეხმაროს და რითაც შეიძლება დახმარება აღმოუჩინონ ათლო დაზარალებულ მცხოვრებთა სასარგებლოდ ეხლვე დაარსოს კომიტეტი. ოაც შესრულებულ იქმნა. ასეთი კომიტეტები შესდგა სხვა რაიონებშიაც. ყველა აქ დამწყოთ დაეგვალათ ხელი შეუწყონ თვითეულ კომიტეტში არჩეულ წევრს, რომელთაც ჩაბარდათ ბარათების წიგნაკები ფულის შემომწირველთათვის.

გერმანელების კომიტეტის წევრთა დადგენილებით 24 თებერვალს შეადგინეს სია ფულის შემწირველთა, გაჩაღდა ხელის მოწერა, 25 ს ყულაბებით შეაგროვებენ ფულს ახალშენში, ხოლო 26 (ეს დღეები უქმე-დღეებია გერმ.). ეტლით დაივლიან ოჯახებს სანოვაგის შესაგროვებლად.

ადგილობრივმა დრამატიულმა წრემ თებერვლის 22 დადგმულ წარმოდგენის მთელი შემოსავალი 2000 მანეთამდის გადასდო გორში დაზარალებულთა სასარგებლოდ, ხოლო მომავალ კვირას მართავს გრანდიოზულ საღამოს ამავე მიზნით.

28 თებერვალს შაბათს, გერმანელთა ქალთა წრე მართავს წარმოდგენას, რომლის მთელი შემოსავალი უნდა გადაიდოს გორში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

თბილისის ვაჟთა მე 6 გიმნაზია.

თებერვლის 28, შაბათს, თბილისის ვაჟთა მე-6-ე გიმნაზიის დარბაზში (ერპოლოვის ქ. № 6), გაიმართება დიდი საღამო თბილისის საუკეთესო ძალების მონაწილეობით, გორის დაზარალებულ მცხოვრებთა სასარგებლოდ.

მიწისძვრისაგან დაზარალებულთა მთავარ ბიუროს მოწოდება

მოქალაქენო! საშინელ სტიქიათ წარმოადგენს ქართლის შუაგული. ენით არ გამოითქმის: კალმით არ აიწერება ის უბედურება, რაც ჩვენს ძმებს თავს დაატყდა.

ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ამ საშინელებას თვალი გაუსწოროს ხშირად უბედურების ხმა მძლავრი და გაზვიადებულია აქ კი სინამდვილე უფრო საზარელია, ვიდრე ყოველივე ის, რაც გაზეთებში სწერია.

ვისაც თვალით არ ენახავს, ის ვერ წარმოიდგენს იმ საცოდაობას, რაც ქართლში დატრიალდა.

ქართლის დედა ქალაქი-გორი-აღარ არსებობს. ქალაქის ალაგას ნანგრევებია. აქა-იქ დარჩენილან დახეთქილი კედლები.

ნანგრევებში დამარხულია რამოდენიმე ათი ათასი მცხოვრებლის ქონება და სარჩო საბადებელი. ნანგრევებში არის დამარხული ბევრი...

ხალხი შიშისაგან თავზარ დაცემული და გაოგნებულია. უპატრონოთ ქუჩაში ყრია.

ჩვენი მთავრობა რომ დროზე არ მიშველებოდა, სიცივე და სიმშილი მოლოს მოუღებდათ უმედურებს.

მაგრამ მარტო მთავრობა რას გააწყობს. როდესაც მარტო გორის ზარალი მილიარდებით არ ანაზღაურდება. დაზარალებულია 50 სოფელი. ბოგიერთი სოფლის ალაგას მარტო ნანგრევებია დაიხოცა ხალხი, ამოწყდა საქონელი.

ზოგიერთ ოჯახში ალარავინ გადარჩენილა.

ოხერაში—ატენის ხეობაში—ცხრა სული მოჰყვა ნანგრევებში ერთი ოჯახიდან და ცხრავე დაიხოცა.

მისაშველებლად გაგზავნილი ჯარისკაცები საფლავების გათხრას ვერ აუდიან

ვინც გადარჩა ისინიც მკვდრებს შენატრიან: უსახლკაროდ და უბარ-კამეჩოდ ადამიანის ცხოვრებას ამ ზამთარში მართლა რომ სიკვდილი სჯობია.

მოხიბლე მტერიც კი შეიბრალებს ადამიანი ასეთ უბედურების დროს

ხუთი ჩვენ ალარ შეგიბოლეთ ჩვენ მოქალაქეს და არ დავეხმარებით ამათ?

საერთო ძალ-ღონით საერთო დახმარებით უნდა შეუმსუბუქოთ ჩვენს მოქალაქეებს, ასეთი აუწერელი უბედურება.

ქართლის უბედურება მთელი საქართველოს უბედურებაა.

ყველამ უნდა გავიზიაროთ ის გორი საქართველოს ისტორიული მშკენებაა, ის ქართლის გულია.

გორი უნდა აღსდგეს, როგორც გამოაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ თავის მოწოდებაში.

გორის აღდგენაში ჩვენ ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა.

ორმოცდა ათი სოფელი დაზარალებულია. მათში ოცდაათი მთლად გადაგურებულია.

ეს სოფლები უნდა აშენდეს ძალებით აშენებაში ჩვენ ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა.

თუ სურვილი იქნა, მოძმისადმი სიყვარული და შეგნება მოვალეობისა ამ უბედურებას უცქერ გავაქარწყლებთ.

ვინც ასეთ დროს ჯულგრილობას გამოიჩენს, ის არ არის ღირსი რეს პუბლიკის თავისუფალ მოქალაქის სახელწოდებისა. მოქალაქენო დაეხმარეთ გაუბედურებულ მოძმეებს.

შემოწირულება მიიღება:

კანცელარიის ხაზინადართან. მთავრობის საგანგებო კომიტეტში—სამოსამართლო დაწესებულებათა შენობაში იუსტიციის მინისტრთან, რედაქციებში, ბანკებში, დამხმარე ბიუროში (ნინოს ქუჩა—წინად ანასტასიას ქუჩა № 1 ექიმ გ. მართელთან), თბილისის ქალაქის მოურავთან.

მოუწოდებენ პროვინციის მუშაკებს დაწესონ ყველგან მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად ბიუროები (კომიტეტები) რომლებმაც უნდა იქონიონ მუდმივი კავშირი თბილისის მთავარ ბიუროსთან.

უცხოეთი

აზერბაიჯანი

მთავრობის კრიზისის გამო.

გაზ. „ბაკინეც"-ში დაბეჭდილია: „მთავრობის კრიზისი განელდა, რადგან სოციალისტების საპარლამენტო ფრაქციებმა და „ეხრარმ" შეუძლებლად სცნეს ასეთ საპასუხისმგებლო დროს კონფლიქტის შექმნა და თვისი წარმომადგენლობიდან. ამ პარტიებმა სახელმწიფოს ინტერესების გულისათვის, არ მიჰბაძეს „იტიხადი"-ს ფრაქციას. კაბინეთის ორი წევრის, იტტიხადელების, ბ. ბ. მემედბეკოვის და შახტატინსკის გასვლამ ვერ შესძლო მთავრობის კრიზისის გამწვავება, მაგრამ თუ „იტტიხადის"-თვის მიებაძა სოციალისტების ფრაქციას და „ეხრარს" და გაეწია თავისი წარმომადგენლები—მინისტრები ა. მ. პეპინოვი დ. ბ. ჰაჯინსკი და რ. კაპლანოვი, მაშინ, რასაკვირველია, სამინისტროს კრიზისი აუცილებელი გახდებოდა".

ზანგეზური.

მთელი ზანგეზური განადგურებულია სომხების ჯარებისაგან. ადგილობრივი მაჰმადიანობა ერთიანად გადახვეწა.

ზანგეზურში ამ ჟამად დგას ერთი პოლკი გენ. ყაზაროვის უფროსობით და 7.000 გენ. ჰდროს მოხალისე.

ამ დღეებში გენ. ჰდრომ დეპეშით მიჰმართა სომხეთის პრემიერს ა. ხატისოვს, რათა დასტური დაეცა შუშაზე გასალაშქრებლად. ეს დეპეშა ხელთ ჩაუვარდათ მაჰმადიანებს, რომელთაც მისი შინაარსი აზერბაიჯანის ოფიციალ წრეებს გაუმჟღავნეს.

სომხეთის მთავრობის გადაწყვეტილება გენ. ჰდროს დეპეშის გამო ჯერ გამოურკვეველია.

სომხეთი

სომხეთის საპროტესტო დეპეშა

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ხატისიანმა შემდეგი საპროტესტო დეპეშა გაუგზავნა პოლკ. ჰასკელს, უორდროპს და სხვა სახელმწიფოთა ყველა წარმომადგენლებს:

„სომხეთის მთავრობამ თებერვლის 20-ს გერუსიდან ამავე თვის 8-დან მიღო ოფიციალი ცნობა აზერბაიჯანის მომზადების შესახებ სომხის ზანგეზურის დასაჭერად.

ამ ცნობაში ნაიქვამია, რომ შუშაში მოვიდა ნური ფაშა ოსმალო ოფიცრებითურთ და გენერალი ნოვრუზოვი მრავალ ათასიანი რაზმებით.

აზერბაიჯანს განზრახული აქვს თავდასხმის მოწყობა დიდ მასშტაბით, ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა მიმართულებით. თავდასხმის მიზანია საბოლოოდ განიარაღება და დამორჩილება ყარაბაღისა და დაპერა ზანგეზურისა.

როგორც სჩანს, აზერბაიჯანს გადაუწყვეტია განახორციელოს ის გეგმა, რომელიც პირველჯერ ვერ შესძლო. ამ ცნობამ სომხეთის მცხოვრებთა ყველა ნაწილში დიდი აღშფოთება გამოიწვია.

ყარაბაღის ამბები

„არაჯ"-ს შუშიდან 9 თებერვლის თარიღით დეპეშით ატყობინებენ: „ამ ჟამად ყარაბაღში იმყოფებიან ნური ფაშა, გენ. ნოვრუზოვი და მრავალი ოსმალო ოფიცრები. აზერბაიჯანი დიდ ძალებს უყრის თავს, რომ ძალით დაიპყროს ყარაბაღი და დაიწყოს მოქმედება ზანგეზურის მიმართულებით. სულთახოვმა გადაუცხადა აქაურ სომხებს, რომ 10-12 დღის განმავლობაში ზანგეზურისა და ყარაბაღის საკითხი გადაწყვეტილი იქნება. იანვრის 30-ს აზერბაიჯანის მთავრობამ მოსთხოვა ჯევანშირის სოხეს, რომ დასცალოს მდ. თართარის ველი და გადასცეს მას მათთან მყოფი იარაღები. ოფიციალ წყაროებიდან მიღებული ცნობებით იოკვეგა, რომ ნახიჩევანის რაიონში აზერბაიჯანი ჯარებს ამზადებს ზანგეზურზე დასაცემად. სულთან ვისომხების ნაწილიდან გადავიდა თათრების უბანში. ყარაბაღზე გროვდებიან უბედურების მომასწავებელი ღრუბლები".

ამერიკა

ფულით დახმარება ევროპას

სახელმწიფო ხაზინის მდივნის აზრით საჭიროა გადაიდოს 150 მილიონი დოლარი, რათა სიმშილს გადარჩენენ: ავსტრია, პოლონეთი და სომხეთი.

პრეზიდანტმა ვილსონმა ძმის გამო საგანგებო მიწერილობით მიჰმართა სხვადასხვა საპარლამენტო პარტიებს. („ჯ. დე-ბოპოლო").

ეგვიპტე

ეგვიპტის მდგომარეობა

ეგვიპტის ნაციონალისტების ბელადმა ზაგლალ-ფაშამ პარიზიდან დეპეშით გამოუთქვამს თავის სიხარულს იმ „დიდ ეროვნულ აქტის" გამო რომლითაც ეგვიპტის პრინცებმა განაცხადეს, რომ თავის ერთან ერთად, იგინი დაიცავენ ეგვიპტეს დამოუკიდებლობას.

„ეი დამჯერებელი პასუხი მათ წინაალმდეგ ვინც შურს სთესავს სამეფო სახლისა და ნაციის შორის"—აცხადებს ზაგლალ-ფაშა.

ამასთან ერთად ინგლისური გაზეთები იუწყებიან, რომ ლორდ მილნერსა ადდის და სელინთ-ფაშას შორის მოლაპარაკებამ საქმე საკმაოდ გაუმჯობესა. („ტან").

ჩინეთი

შანხაი. ჩინელთა ბოიკოტი იაპონურ საქონლისადმი სამხრეთ ჩინეთში მეტად ძლიერდება. მთელი ქალაქები (ნანკინი, კანტონი) ეს 2 წელიწადია რაც იაპონურ ნაწარმოებს სულ არ იღებენ. („ტ. კ").

კორეა

კორეის ეკონომიური აყვავება

1918 წლის გორგობისთვიდან 1919 წლის თებერვამდე კორეიდან გატანილია 36 მილიონი გეკტოლიტრი გაზრდილი 0,9 გეკტოლიტრით. ბამბის წარმოებამაც 43 ათას ტონს მიაღწია. საოცარი სისწრაფით მიდის აბრეშუმის საქმე. 1914 წ. 83 ათას გეკტომეტრიდან გასულ წლის დამლევს 218 ათას გეკტომეტრამდე ავიდა. („ტან")

ახალი ამბები

სხვა და სხვა ამბები

მეთამბაქოეთა ყრილობა.

სამშაბათს, 24 თებერვალს, დამთავრდა მეთამბაქოეთა ყრილობა, რომელმაც გამოიტანა საყურადღებო დადგენილებანი 1) მონოპოლიის შესახებ, 2) კრედიტის შესახებ, 3) მეთამბაქოეთა კავშირების შესახებ და სხ. ყრილობამ აირჩია კომიტეტი 9 კაცისაგან, რომელნიც გაუძღვებიან დადგენილებათა სისრულეში მოყვანის საქმეს და შემდეგისათვის იზრუნებს მეორე ყრილობის მოსაწვევათ, რომელიც უნდა მოხდეს ზაფხულში, დრო ჯერ დანიშნული არ არის. მეორე ყრილობა უნდა მოეწყოს განსაკუთრებით ცენტრალ ორგანოს შესაქმნელად.

მიმოსვლა თბილისს-ხომხეთ შორის.

სომხეთის დიპლომატიურ მისსიის წარმოუნებული იტყობინება რომ სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლა თბილის-ერევანის განახლებულია. თბილისიდან ერევანში მატარებელი გადის 24, 26 და 28 თებერვალს, მარტში: 1, 3, 5 და ასე კენტ რიცხვებში. ალექსანდროპოლში და სარაყამიშში ღღე გამოშვებით, როდესაც თბილისიდან მატარებელი დაბრუნდება.

მასწავლებელთა კავშირში

24 თებერვალს საღამოს 6 ს. პირველ ვაჟთა გიმნაზიის შენობაში გაიმართა სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს წევრთა და ადგილობრივ მასწავლებელთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეერთებული კრება. თავმჯდომარეობდა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბურჯანაძე.

კრების განსახილველ საგანს შეადგენდა „მასწავლებელთა ორგანიზაციებს მონაწილეობა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა ფონდის გაძლიერებს ხელმეში". ვ. ბურჯანაძემ გააცნო კრებას უკვე არსებულ დამხმარე კომიტეტების საქმიანობა და აგრეთვე თვისი პროექტიც, თუ რა სახით უნდა მიხდეს მასწავლებელთა შორის ფულის შეგროვება. მცირე კამათის შემდეგ კრებამ დადგინა:

1. მიმართოს მოწოდებით რეპუბლიკის ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლების მასწავლებელთ გაიღონ თებერვლის ჯამაგირიდან შეძლებისდაგვარად წვლილი გორის ფონდის გასაძლიერებლად.

2 თითოეულ სკოლაში შემოწირულებას აგროვებს სკოლის გამგე. ადგენს შემოწირულთა სიას.

3. შეკრებილი ფული გადაეცემა განსაკუთრებულ კომიტეტს.

4. კომიტეტში კრებამ აირჩია სამი წევრი: ი. ღულაძე, ალ. ფირცხალაიშვილი და ჰ. ჭინიშვილი (საბჭოს ბიუროს მდივანი).

5. კომიტეტის ბინა იქნება ვაჟთა 1 გიმნაზიაში.

თავის წარმომადგენლად ქალაქის საბჭოს კომისიაში კრებამ აირჩია ალ. ფირცხალაიშვილი.

ცენტრობანკი.

პირველი საზოგადო კრება საქართველოს ცენტრალური სავაჭრო სამრეწველო ბანკის აქციონერთა არის დანიშნული მარტის 14 ს თბილისში ცენტრობანკის ბინაზე (პუშკინის ქ. № 3) გამგეობის საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრთა ასარჩევად და ხარჯთაღრიცხვის დასამტკიცებლად. თვითონ ბანკი ოპერაციებს დაიწყებს 23 მარტიდან.

ხ. ხტოლერმანის საქმე.

სტოლერმანის საქმე დანიშნულია საგანგებო სასამართლოში მარტის 3-ს.

სამხატვრო ძრწინვა

გ. ტაბიძის ხალამო.

ოთხშაბათს მარტის 4-ს სახელმწიფო თეატრში გაიმართება გალაქტიონ ტაბიძის საღამო. მონაწილეობენ: ვ. ბარნოვი, ს. ბაშელი, ი. გრიშაშვილი, შ. დადიანი, პ. ინგოროყვა, კ. მაყაშვილი, დუტუ მეგრელი, ვ. რუხაძე, ტ. რამიშვილი, შ. შარაშიძე, ნ. შიუკაშვილი და გ. ქუჩიშვილი: წარმოდგენილი იქნება ოპერა „ალეკო" და გაიმართება ბალეტი ბაუერ ზაკსის მონაწილეობით.

კრებები

ბეითალთა ყრილობა. დღეს, დილის 11 საათზე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში (ბარიათინის ქ. № 5) შესდგება სრულიად საქართველოს ბეითალთა ყრილობა.

თეატრი

დღეს:

სახელმწიფო თეატრი. „ბალ-მასკარადი".

„ტარტოს" დრამა. წარმოდგენა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

სასამართლოში

ვეშაპელის და კაჩუხაშვილის საქმე

თებერვალის 18-ს თბილისის სასამართლო პალატამ გაარჩია კაჩუხაშვილის საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენზე, რომლითაც გრიგოლ ვეშაპელი ბრალდებული იყო იმაში, ვითომ მას ცილი დაეწამა კაჩუხაშვილისთვის როდესაც მან გაზეთ „კლდე"-ში ათასგვარ ცნობები იმის თაობაზე, რომ კაჩუხაშვილი დათხოვნილია სამსახურიდან მექრთამეობის ვის და რომ მან პროვოკაციულად შეინა ბაგრატიონ—დავითაშვილების და სხვათა საქმე. საამართლო პალატამ განაჩენის გამოცხადება გადასდო 25 თებერვლისთვის.

გუშინ გამოცხადდა, რომ პალატამ დაამტკიცა საოლქო სასამართლოს განაჩენი და კაჩუხაშვილის საჩივარი კი უშედეგოდ იქმნა დატოვებული.

სენატი

1 მარტს საკასაციო წესით განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა:

1. საქმე თბილისის ქალაქის გამგეობის გრიგოლ არტემის ძე კუჩარიანცთან მამულის საკუთრების უფლების თაობაზე.

2. საქმე იაგორ ნიკოლოზის ძის ბარკალაიას გარდაცვალებული ალექსანდრე მიხაილოვის მემკვიდრეებთან მამულის საკუთრების უფლების თაობაზე.

3. საქმე ანდრია გუტას ძის მალანიასი პეტრე, გუდუ, მიხეილ და ერმოლე გოთუებთან 720 მან. თაობაზე

4. საქმე მელიტონ და ილარიონ ისაკაძეების მალხაზ ისაკაძის ან ია ჯაფარიძეს მიმართ 1700 მან. თაობაზე.

ჟურნალი „განათლება"

უკვე იბეჭდება ჟურნალ „განათლების" პირველი (იანვრის) ნომერი და გამოვა ძველის პირველ რიცხვებში, სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საჭოს დადგენილებით. ეს ჟურნალი იქნება (თებერვლის ნომრიდან) მთავარი განყოფილებანი: ფიზიკალი განყოფილება, ფილოსოფია, პედაგოგიკა, ისტორია და სოციოლოგია, ბუნების მეცნიერება და მათემატიკა, პოლიტიკური ეკონომია, აგრონომია, ტექნიკა, კოოპერაცია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, ქრონიკა, განცხადებანი და სხვ. თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ქართველ მეცნიერთა საუკეთესო ძალები. მზადდება საბეჭდათ მეორე ნომერი. გამოცემა ქალაქლდით უზრუნველყოფილია მთელი წლით.

ჟურნალი თავის შინაარსით დააკმაყოფილებს ყველა საშუალო ინტელიგენტს. იმედია, რომ ყველა ქართველი ინტელიგენტი და განსაკუთრებით მასწავლებლობა გამოიწერს ამ ერთად ერთ ქართულ სამეცნიერო პოპულიარულ ჟურნალს და ხელს შეუწყობს მის ფართედ გავრცელებას.

ჟურნალი ღირს 1 წლით 300 მ. ნახევარი წლით 150 მ. ცალკე ნომერი 35 მ. სახალხო მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ: 1 წლით 250 მ. ნახ. წლით 125 მ. ცალკე ნომერი 25 მან.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით, წერა კითხვის საზოგადოება, ვ. ბურჯანაძეს დამფუძ. კრ. ქუჩა № 5.

ქალაქის საბჭო

2 თებერვლის სხდომა.

მიწის ძვრის შესახებ.

(ქალაქის მოურავის მოხსენება და სხდომის ანგარიშის დასაწყისი მოყვანილი იყო გუშინდელ ჩვენ გაზეთში განყ. „მიწის ძვრა საქართველოში".)

ხმ. პ. ჭიჭინაძე (ს.-დ.) ამბობს, რომ ცენტრალურ ბიუროს მოქმედება უფრო ვრცელია. იგი უცხოეთში, ევროპაშიაც გადიტანს თავის მოქმედებას, ხოლო ადგილობრივ კომისიებს კი მხოლოდ ეხმარება და დირექტივებს აძლევს.

საჩქარო ადასტურებს ქალაქის მოურავის მოხსენებას და ირჩევს კომისიას შემდეგი შემადგენლობით:

ვახ. ხახანაშვილი (ს.-დ.), **არჩ. ჯაჯანაშვილი** (ს.-ფ.), **დავ. კალანდაძე** (ერ. დემ.), **დავ. ვაჩნაძე** (ნაც.), **და თედო კაკვაძე** (ს.-დ.) ამ კომისიის თავმჯდომარეთ იქნება ქალაქის მოურავი.

თავმჯდომარისა და მისი ამხანაგის არჩევა.

თავმჯდ. ადგილს იკერს **ხმ. პ. ჭიჭინაძე.**

საბჭო ერთხმად ირჩევს ხელმეორედ ალ. ს. ლომთათაძეს, მის ამხანაგად აგრეთვე ერთხმად ალ. ბ. მდივანი (ს. ფედ.).

თბილისიდან ზედმეტ მცხოვრებთა გადასახლების შეწყვეტა

ქალაქის მოურავი. 16 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტროდან ქალაქის გამგეობას მოუვიდა ქაღალდი, რომელშიც სამინისტრო კითხულობს, თუ რა აზრის არის ქალაქის გამგეობა თბილისიდან ზედმეტ მცხოვრებთა გადასახლების სავალდებულო დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

ხსენებულ სავალდებულო დადგენილებათა გაუქმების მოტივები ასეთია:

სავალდებულო დადგენილებამ ვერ მიაღწია იმ დიდ მიზნებს, რომელიც წინათ იყო დასახული, საგრთაშორისო მდგომარეობა მას შემდეგ საგრძნობლათ შეიცვალა და რამდენიმე უცხო სახელმწიფო საქართველოს დაპირდა ბერის მოწოდებას.

ამას წინათ საბჭოში შემოტანილ შეკითხვის გამო გამართულ კამათიდანაც გამოირკვა, რომ სხვა და სხვა მიზეზებით იმედები არ გამართლდა ქალაქის მოურავის აზრით, თუ ზემოხსენებული დადგენილება გაუქმდა, ქალაქი ბევრს მაინც არას დაკარგავს.

ხმ. მზარეულიშვილი ამბობს, რომ ეხლა არამც თუ უნდა გაგრძელდეს ქალაქიდან ზედმეტ მცხოვრებთა გადასახლება, არამედ გორში მიწის ძვრისაგან დაზარალებულნიც უნდა მიიღოს ქალაქმა.

ხმ. დ. ვაჩნაძე. თბილისიდან ზედმეტ მცხოვრებთა გადასახლების დეკრეტი უნდა გაუქმდეს, რადგან ის უკვე დრო მოკმულია, მაგრამ მე ერთი რამ მაინტერესებს, სახელდობრ: დაკეტილია თუ არა ჩრდილოეთის საზღვარი? ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული საქართველოს სიმშვიდე. თუ ჩრდილოეთის საზღვრები ჩაკეტეთ ამით ბევრს მოვიგებთ, რადგან იქიდან მაშინ ახალი ტალღები ალარ მოგვაწვება, მით უმეტეს, რომ გორიდან ბეკრი ჩვენი მაძმე უნდა ჩამოვიყვანოთ.

ხმ. პ. ჭიჭინაძე. (სოც.-დემ.) საზღვრები წინადაც დაკეტილი იყო და თუ დეკრეტი თბილისიდან ზედმეტი მცხოვრებთა გადასახლების შესახებ გავაუქმეთ, საზღვრები მაინც დარჩება დაკეტილი არა ჩვენ მოქალაქეთათვის და შემოუშვებთ ევროპის სახელმწიფოთა მოქალაქეთ, საქმისთვის, აგრეთვე შეძოუშვებთ მეზობელ სახელმწიფოთა მოქალაქეთ ამავე მიზნით, რომლებთანაც ჩვენ საქმიანი ურთიერთობა გვაქვს მუდამ. დეკრეტის გაუქმება კიდევ არ ნიშნავს საზღვრების გაღებას.

საბჭო ადგენს თბილისიდან ზედმეტ მცხოვრებთა გადასახლების სავალდებულო დადგენილებანი გაუქმდეს იმ მოტივებით რომელიც ქალაქის მოურავმა მოიყვანა თავის სიტყვაში.

თათრულ 2 სკოლისათვის სახელწოდების შეცვლა

გამგეობის წევ. **გ. კონიაშვილის** მოხსენებით საბჭო ადგენს 2 თათრულ სკოლას, ხარფუტისას და ვერისას, ეწოდოს სახელები, პირველს სპარსულ ძველსნის საადის, მხოლოდ მეორეს ადგილობრივ სატირიკოსის—საბირისა.

აბანოების ბილეთის გაძვირება

გამგეობის წევ. **გ. მაჭავარიანის** მოხსენებით საბჭო ადგენს გადიდებულ იქმნას ქალაქის აბანოებში ბილეთების ფასი. საერთო აბანოში 5 მან. ბილეთი ღირება 10 მან., ბაყშვებისთვის 3 მან. მაგიერ 5 მან., ტარო—10 მან. მაგიერ 15 მან. და სხ.

ფასების გადიდება ქალაქს მისცემს აბანოებიდან 215 ათას მოგებას მიმდინარე წლის 7 აგვისტომდე, როდესაც თავდება ამ აბანოების იჯარის ვადა.

საძოვარ ადგილების ექსპლოატაცია

გამგ. წევრ. **გ. მაჭავარიანის** მოხსენებით საბჭო ადგენს ქალაქმა ხელში აიღოს კუკიის, ავლაბრის და ორხევის საძოვარ ადგილების ექსპლოატაცია. ეს საძოვრები წელიწადში 120 ათას ფუთ თივას იძლევა, რაც შეინახავს 3000 სულ საქონელს. გამგეობას ნება ეძლევა წელიწადად 112 ათასი მან. გადასდოს ხსენებულ საძოვრების გამგის და ყარაულების შესანახად და აგრეთვე ერთდროულათ 60 ათას 3 ცხენის შესაძენათ ყარაულებისთვის.

მეეზოეების შესახებ

თავმჯდომარე მოახსენებს საბჭოს ხმ. მზარეულიშვილის წინადადებას, რომელიც ზეკითხვის სახითაა წარდგენილი საბჭოში. ამ წინადადების ავტორი აღნიშნავს, რომ მეეზოეების შენახვა შეტად ძვირად უჯდებათ სახლის პატრონებს და მოითხოვს შეცვლილ იქნეს მეეზოეთა დაქირავების წესები. მზარეულიშვილის წინადადება გამგეობას გადაეცა განსახილველად.

რედაქტორი
„საერდაქციო კოლეგია"
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 29

ვაჭრობა და მრეწველობა

№ 29

საქართველოს სავ. ჭრო-სამრეწველო პალატის რედაქციით

სახალხო მეურნეობის შექმნა-განვითარება*)

(გაგრძელება).

რევოლიუციის ხანაში არც ჩვენ ავცდით იმ შეცდომას, რომელიც სტერეოტიპულად იმეორებოდა ყველა სახელმწიფოებში, სადაც მოძრაობა იყო. ეს შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ რევოლიუციის ხელმძღვანელნი ფიქრობენ, რომ საჭიროა დამხობა კერძო მრეწველობისა და გადაცემა ამ მრეწველობისა მთავრობის, ქალაქთა, ეროვნებათა გამოუცდელ ხელში. ყველა წარსულმა მაგალითებმა დაგვიმტკიცეს, რომ ეს ყოველთვის დიდი შეცდომა იყო. ეს გზა ვოველთვის ჰქმნიდა ვაჭრობა-მრეწველობის კრიზისს, აქონელს და ნაწარმოებს აძვირებდა, ჰაადგდა უკანონობას, ძალმომრეობას. ეს გარკვევით შენიშნულია ძველის დროიდან.

ადამ სმიტი ამბობს „მე არასდროს არა მქონია შემთხვევა შენახა, რომ პირთ, რომელთაც ხელი მოუკიდიათ ვაჭრობისათვის საზოგადო სარგებლობის განზრახვით, გაეკეთებინოთ რამე სასარგებლო“. მართალია, ადამ სმიტის შემდეგ კოოპერატივები გაჩნდა, რომელთაც ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოებში, მეტადრე ინგლისში, მკვიდრ საფუძველზე შექმნეს ვაჭრობა, მაგრამ ლიტერატურაში არსად შემხვედრია, რომ ქალაქებს და ეროვნებათ შეექმნათ საღი ინდუსტრიალური მრეწველობა.

ამ ნიადაგზე ჯერ კიდევ არსებობს ზოგიერთ ჩვენ წრეებშიც ერთგვარი ყოყმანი.

რუსეთის ცნობილი ეკონომისტი იანჟული თავის თხზულებაში (ფინანსთა მეცნ. საფუძველნი) ამბობს „აქ საჭირო არ არის მტკიცება ყველას გან აღიარებულისა, რომ მთავრობანი უვარგისნი არიან მოგების მიზნით მრეწველობის წარმოებაში. პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მთავრობას არ შეეძლიან ამ დარგში კონკურენცია გაუწიოს კერძო ინიციატივას. მთავრობას შეუძლიან მხოლოდ იმეთი წარმოების მოწყობა, რომელსაც საფუძვლად ედება პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ხასიათი და მაშასადამე, დაკავშირებულია საზოგადო ინტერესებთან. მაგალითად გასაცვლელად განათლებისა, სამხატვრო გემოვნებისა, ანუ საჩვენებლად ტენნიკურად რთული წარმოებისა*.

შემდეგ იგივე იანჟული ამბობს, რომ ახლა ამ მოსაზრებასაც ეკარგება ნიადაგი, რადგან კერძო ინიციატივით აშენებული ქარხნები მხატვრული ნივთების დასამუშავებლად უკეთ არიან მოწყობილნი, უკეთესი ნაწარმოები გამოდის და უფრო იაფად ღირს, ვიდრე სახელმწიფო ქარხნების ნაწარმოებნი.

ეკონომისტ ჟიდს მოჰყავს მაგალითი ინგლისის მუნიციპალიტეტების სამრეწველო წარმოებიდან. „1029 მუნიციპალურ წარმოებას მიეცა წმ ნდა მ-ება 378.000 გირვანქა სტერლინგი, (ანუ 9 ნახ. მილიონზედ მეტი ფრანკი). ყველა ამ წარმოებამ მიდებულ 121 მილ. გირ. სტერლინგი კაპიტალზე ეს მოგება სასაცილო მოგებათ უნდა ჩაითვალოს, რადგან იგი 1000 ფრანკზე 3 ფრანკს წარმოადგენს. საამორტიზაციოთ გადადებული ყოფილა უმეცირესი ნაწილი,—ათასზე 1 ნახ. პროც. საამორტიზაციოთ რომ 5 პროც. ვიანგარიშოთ, რაიც მინიმუმათ უნდა ჩაითვალოს, მაშინ გამოვა, რომ აღნიშნული მცირედი მოგებაც 140 მილიონი ფრანკის ზარალათ იქცევა“... ეს იმას ნიშნავს, დასძენს ჟიდი, რომ ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი მუნიციპალიტეტი, რომლის მართველობაც ამ მხრივ კარგ პირობებში იყოს ჩაყენებული.

იგივე ჟიდი თავის მიერ დასმულ კითხვაზე: კარგათ ასრულებენ თავის დანიშნულებას სახელმწიფო და მუნიციპალური მრეწველობანი იქ, სადაც ისინი არსებობენ? აძლევენ თუ არა ეს წარმოებანი ქალაქებს დიდ მოგებას და აკმაყოფილებენ თუ არა ისინი მომხმარებლებს? იძლევა პასუხს:

„ამ საკითხებზე მიღებული პასუხი ერთმანეთს დიდად ეწინააღმდეგება და ეს სავსებით ადასტურებს იმას, რაც ახლა ვთქვით, რომ ყველაფერი დ მოკიდებულია გარემოებაზე, როგორც მრეწველობის მხრივ, ისე სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციის მხრივაც“.

სხვა ადგილას იგივე ეკონომისტი ჟიდი, შეეხება რა იმავე საკითხს ამბობს: „ყველაზე უფრო დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს ეკონომიური ფუნქციების გაფართოება მეტის მეტად სასურველია, პრაქტიკულად ამის განხორციელება სწორეთ ყველაზე უფრო ძნელია“.

ჩვენ გვაქვს აქ სხვა და სხვა წარმოება ქალაქთა კავშირისა და ზოგიერთ ეროვნებათა ხელში. ჩვენ გვაქვს მრეწველობა ხეტყისა ბორჯომში, შუშის ქარხანა იქვე, ყოფილი საუფლის წულო მამულები, ღვინის მარანი. ყველა ეს მრეწველობანი უნუგეშო მდგომარეობაში არიან. ეს ესეც უნდა იყოს. კერძო ინიციატივა ეძებს მცოდნეს გამოცდილს, შომზადებულს კერძო პირს. კერძო წარმოება თვალყურს ადევნებს თავის წარმოებას, თვალყურს ადევნებს, სწავლობს ბაზრის მოთხოვნილებას და მოთხოვნათა მიხედვით აუმჯობესებს ნაწარმოებს, ადევნებს თვალ-ყურს უცხოეთის წარმოებას და სცდილობს თავის ნაწარმოები იმავე პირობებში მაინც გაიტანოს ბაზარზე. აქ არის ერთგვარი კონკურენცია, არის ბრძოლა თავის მრეწველობის დასაცავად. იგივე არ არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება, საქართველოა მთავრობის ანუ საზოგადოებრივ დაწესებულებათა ხელშია. უკანასკნელთ საბაჟოების და ძალმომრეობის იმედი უფრო აქვთ; უკანასკნელთა სამრეწველოს აწარმოებს უფრო ხშირად შემთხვევით მიწვეული უცოდინარი, რომელიც არაფრით დაინტერესებული არ არის, როგორც არ არიან ამაში დაინტერესებულნი სათავეში მდგომნი. ამათ მუშაობას აქვს ის ბიუროკრატიული ხასიათი, რომელიც ყოფილა და იქმნება, როგორც მონარქიულ სახელმწიფოებში, აგრეთვე რესპუბლიკანურში.

ადამიანის ბუნებას ვერ შესცვლის პოლიტიკური წესწყობილება. მას შესცვლის მხოლოდ დაუღალავი მუშაობა, როგორც სწავლა-განათლების დარგში, აგრეთვე მრეწველობაში. მხოლოდ კულტურულად დიდად განვითარებული და ალბრდილი ხალხი შეიგნებს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ყოველ დარგში სინდისიერად მუშაობის საჭიროებას შეერთებული ძალღონით. ამას დრო უნდა, ამას უნდა ის, რაც არაგვაქვს—კულტურული განვითარება. მანამდე კი არც ერთი მრეწველობა გადამუშავებელი ან სასოფლო მეურნეობის ხასიათისა არ მოიკიდებს ფეხს ქალაქებისა ეროვნებათა და მთავრობის ხელში.

ეროვნებათაც, ქალაქებსაც და ნამეტნავად მთავრობას სხვა დიდი სამუშაო აქვთ მრეწველობის განვითარების სფეროში ეს მუშაობა გაცილებით ნაყოფიერი იქმნება და ეროსთვისაც სასარგებლო, ვიდრე რაიმე ქარხნ ს მოწყობა და უცოდინრად მისი წარმოება. მშრომელ ძ ლთა წესიერი გამოყენებ, ბრძნული ხელმძღვანელობა უფრო დიდ სარგებლობას მოუტანს ერს.

რა დარგის მრეწველობის უნდა მივაქციოთ ყურადღება? რომელია სადღეისო საზრუნავი, რომელია სხვალიო? ვეცდები ეს შეძლებისადაგვარად გამოვარკვიო.

ვიდრე მრეწველობის მოკლე გეგმას მოვიყვანდე უნდა შეეეხო ერთ არსებითი კითხვას შესახებ იმ უმაღლეს დაწესებულებისა, რომელიც უნდა ჩადგეს სახალხო მეურნეობის სათავეში. საქართველოში მრეწველობის შექმნისათვის საჭიროა ერთსულოვნება მოქმედებაში, საჭიროა მთელი მრეწველობის და მასთან დაკავშირებულ სხვა დარგების მეურნეობის ერთი გეგმით გატარება. მრეწველობის განვითარებისათვის საჭიროა რკ ნის გზები, გზატკეცილები, დასამუშავებელი მასალის რაოდენობის გაძლიერება, საწვავი ნივთიერება, მადნეულობა, მექანიკური ძალა და სხვ. ყველა ეს ისე გადახლართულია ერთმანეთში, ისე გადაბმულია, ისე დამოკიდებულია ერთმანეთისაგან, რომ ერთ გეგმიანობისათვის საჭიროა დაარსება ერთი სახალხო მეურნეობის სამინისტროსი, სადაც უნდა მოთავსდეს გზათა სამინისტროს სატარიფო, საინიციატივო და საკონცესიო ნაწილი; მიწად-მოქმედების სამინისტროს ის ნაწილნი, რომელნიც შეეხებიან სახელმწიფო ტყეებს სამრეწველო მიზნით დატოვებულს, წყალთა ძალებს და მეურნეობას; ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრო. ამნაირად მიწად მოქმედების სამინისტრო განთავისუფლდება იმ საქმეების მართვა-გამგეობისაგან, რომელთაც ვიწრო კავშირი აქვს სახალხო მეურნეობასთან და გარდაიქმნება სახელმწიფო ქონებათა სამინისტროთ. გარდა ამისა ამავე სახალხო მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით და გეგმით უნდა ახსნებოდეს სპეციალური საპროფესიო, სატენნიკო და სავაჭრო სასწავლებლები.

სახალხო მეურნეობის სამინისტრო უფრო დაუახლოებს სასწავლებელთა პროგრამებს სამინისტროს გეგმების განხორციელებას. ამნაირად შეიქნება ერთი მთლიანი სამინისტრო, სადაც იქნება დეპარტამენტები: ა) ფინანსთა, ბ) ვაჭრობა მრეწველობისა, გ) სასოფლო მეურნეობისა, დ) სატენნიკო და წყალთა გამგეობისა. სამინისტროსთან უნდა იყოს ტენნიკო-ეკონომიური საბჭო, რომლის წევრებათ იქმნებიან ვაჭრობა-მრეწველობის მცოდნე პირნი, მინისტრის მიერ მიწვეულნი და ყველა დეპარტამენტების უფროსნი. ეს ტენნიკო-ეკონომიური საბჭო, მინისტრის თავმჯდომარეობით იქნება ამავე დროს საინიციატივო საბჭო, რომლის მოვალეობა უნდა იყოს შედგენა მთელი მრეწველობის გეგმისა. ამ საბჭოს განკარგულებაში იქნება ყველა დეპარტამენტების შტატი. საბჭო მიიწვევს სპეციალისტებს ყველა დარგისთვის და სხვ. საბჭო აღჭურვილი უნდა იყოს შესაფერი უფლებებით და დამოუკიდებელი. საბჭოს არსებობის ვადა განუსაზღვრელია. ეს ჩანჩხია იმ ორგანიზაციისა, რომელიც აუცილებლად საჭიროა სახალხო მეურნეობის ერთსულოვნურ მოქმედებისთვის.

ეს სამინისტრო და საბჭო მიაქცევს ყურადღებას და დაიმუშავებს გეგმებს, ხარჯთ აღრიცხვებს და სხვ. შემდეგში სამრეწველოების მოსაწყობად.

ვერავითარ საქარხნო მრეწველობას ჩვენ ვერ შეექმნით, თუ მანქანების ასამუშავებლად არ გვექმნება იაფი ძალა, იაფი ენერგია. დიდი უმრავლესობა ევროპის ინდუსტრიისა არსებობს ქვა-ნახშირით. მხოლოთ შვეიცარიაში, ნორვეგიაში, ფინლიანდიაში, შვეიცარიის უმრავლეს ნაწილში, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის მცირე ნაწილებში ქარხნების ამამოძრავებელი ძალა არის წყალი. იმ ადგილებში სადაც წყალია გამოყენებული როგორც მეხანიკური ძალა, იქ წარმოებაც შედარებით სხვასთან უფრო იაფია.

(დასასრული იქნება)

ალ. ჯაბადარი.

სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვის შესრულება განსავლის გალანსის მიხედვით

(დასასრული)

უმთავრესი ნაწილი დამატებითი კრედიტებისა დაიხარჯა მთავრობის მოხელეთათვის ჯამაგირების მოსამატებლათ, საკანცელარიო, სამეურნეო და სხვა ხარჯებისთვის, რომელმაც იმატა სიძვირის გამო. რაც შეეხება, კერძოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს, შედარებით დიდი ხარჯი აიხსნება იმით, რომ ეროვნებათა და ქალაქებს მიეცა დახმარება მათი ფინანსების შესავსებად; საერთოთ ეს დახმარება გამოიხატება 23,569,126 მან.

ხარჯთაღრიცხვის გარეშე მეორე დარგს ეკუთვნის ის ხარჯები, რომელიც არ შედის სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვაში; ზოგიერთი ამგვარი ხარჯი მუდმივია და ვითარცა მუდმივი ხარჯი უნდა ჩაიწეროს მომავალ წლების ბიუჯეტში. დანარჩენი ხარჯები მოულოდნელია და გამოწვეული ეხლანდელ არჩეულებრივი ეკონომიური გარემოებით და არ წარმოადგენენ დაუბრუნებელ ხარჯებს, პირიქით, ეს ხარჯები უნდა ჩაითვალოს სესხად, რომელიც გასცა ხაზინამ სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლათ.

მიმდინარე საანგარიშო წლის 5 თვის განმავლობაში ხარჯთაღრიცხვის გარეშე მუდმივი საჭიროებისათვის დაიხარჯა 28,8 მილ. მან. ეს ჯამი სხვადასხვა სამინისტროებისათვის განაწილებულ იქმნა შემდეგი:

1. მთავრობის საქმ. სამართ.	5,000
2. ფინანსთა სამინისტრო	272,601
3. სამხედრო სამინისტ.	9,472,445
4. შინაგან საქმ. სამინისტ.	2,935,371
5. გარეშე საქმ. სამინისტ.	3,410,550
6. მიწ. თმოქმ. სამინისტ.	5,051,625
7. იუსტიციის სამინისტ.	3,576,793
8. სახალხო განათლ. სამინ.	1,906,497
9. გზათა სამინისტრო	1,940,634
სულ	28,821,416

აღნიშნულ ჯამში შესულ ხარჯთა შორის საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი უდიდესი ხარჯები: გადასახლების საქმეთა მოწყობა 5,000,000 მან. ჯარისკაცთა განათლების საქმის მოწყობა 1.570,000 მან., ინვალიდების დასახმარებლად 537.300 მან., საგეოლოგიო განყოფილებას 200,000 მ., სტიქიურ უბედურების შესამსუბუქებლად — 2,000,000 მან, მაჰმადიან-ქართველთა დასახმარებლად 2,550,000 მ. და სხ.

სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე უკანასკნელ დარგის ხარჯები წარმოადგენენ ერთდროული ხარჯები, რომლებიც გამოწვეულნი არიან ეხლანდელ ეკონომიურ გარემოებით. სხვა და სხვა დაწესებულებათა და სამინისტროთა შორის ეს ხარჯები განაწილდ ბა ასრა თანაბრად, შეტ-ნაკლებობა ამ ხარჯებ სა მეტად შესამჩნევია. ეს ცხადათ ჩანს შემდეგის ნუსხიდან:

1 დამფუძნებელი კრება	30,000 მ.
2. მთავრობის საქმეთა სამმართველო .	100,039,750
3. ფინანს. სამინისტრო	20,187,910 „
4. სამხედ. სამინისტრო	4,661,994 „
5. შინაგან საქმეთა სამინისტრო . . .	889,000 „
6. გარეშე საქმეთა სამინისტრო	3,573,964 „
7. იუსტიც. სამინისტრო	20,000 „
8. სახალხო განათლების სამინისტრო . .	12,115 „
9. გზათა სამინისტრო .	1,121,890 „
10. შრომის სამინისტრო	200,000 „
11. სახელმწ. კონტროლი	50,000 „
სულ	130,536,553 „

აღნიშნულ ნუსხიდან უმთავრის ხარჯათ უნდა ჩაითვალოს 100,039,750 მ. მეორე პუნქტით და 20,187,910, მესამე პუნქტია. პირველ ჯამში შედის ორი გადადებული თანხა თითო 50 მილ. მან., თითოეული რესპუბლიკის მცხოვრებთათვის მეტად საჭირო მასალების შესაძენად, მათთვის საჭირო ნივთების გასასყიდად იაფ-ფასებით და აგრეთვე მცხოვრებთათვის საჭირო ნივთების მომარაგებისათვის. რაც შეეხება მესამე პუნქტს იქ არის აღნიშნული 20 მილ. მან., ვითარცა ფონდი საგალუტო საქონლის მოსამზადებლად, რომელიც განზრახულია საზღვარ-გარეთ გასაგზავნათ; ასეთი მასალა თამბაქო, მარგანეცი, მატყლი აბრეშუმი და სხვა. ხუთი თვის გამოცდილება საქართველოს რესპუბლიკის პირველი წლის საბიუჯეტო ხარჯთაღრიცხვის შესრულების ხარჯების მიხედვით გვაძლევს საკმაო სახელმძღვანელო ცნობას 1919/20 წ. ხარჯთაღრიცხვის შედგენისათვის.

განზრახული ხარჯთაღრიცხვა ვეაუწვდა სახელმწიფო ხარჯებს და ნამდვილი ხარჯი სახელმწიფოსი აღემატა განზრახულ ხარჯებს.

ჩვეულებრივ ხარჯებში გადამეტებული დანახარჯი უდრის 1342 მილ. მან., ეს შეადგენს თითქმის 27 მილ. მან. თვეში, ეს ხარჯები შეტანილი უნდა იქნეს დამატებით შემდეგი წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

ამ ჟამად ჯერ არ გვაქვს სრული იმედი, რომ ძვირობა დაიწევს რადგანაც ქალალდის ფული თანდათან მცირდება, ამიტომ მომავალ ხარჯთაღრიცხვაში (1920 21 წ.) ხარჯების დასაფარავად საჭირო იქნება, რომ შემოსავალი სახელმწიფოსი განსაზღვრული იყოს ისეთის სიფრთხილითა და თანდარიგით, რომ მიუხედავათ ქალალდის ფულის ფასის დაკლებისა სახელმწიფო შემოსავალმა მაინც თან და თან იმატოს ავტომატიურათ.

მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის პროექტით არ არის წინ ნავარაუდევი ექსტრაორდინალური ხარჯები. მიუხედავათ ამისა, ამ ხარჯებმა ხუთი თვის განმავლობაში მიაღწიეს დიდ ჯამს 130,5 მილ მან. და ყოველივე ხარჯი ამ საგანზე გაწეული იყო გარეშე ხარჯთ-აღრიცხვისა.

ანორმალური წესი სახელმწიფოს ფინანსების ამგვარ წარმოებისა შეტათ აშკარაა და სწორეთ ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტში შეტანილია შემდეგი მუხლი: „ყოველივე შემოსავალი და გასავალი სახელმწიფოსი აღნიშნული უნდა იყოს ბიუჯეტში“. ეს არის საფინანსო აქსიომა და მის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფოს მეურნეობის წესიერი მართვა-გამგეობა.

ეკონომისტი.

სახარგეგლო ცნობები

მოგვყავს მინისათვის სამყეს საგოზავის (каучуковая замазка) დამზადების საშუალება.

I სამყე— 12 ნაწილი
კეროი (мастика)—120 ნაწილი.
ქლოროფორმი 500 ნაწილი

მინაზე წასმული საგოზავი მაშინვე ეკვრის მას და გაშრობის შემდეგ ჩნდება ჰომადი შრე (эластичный слой).

II სამყე—2 ნაწილი.
კეროი 6 ნაწილი.
ქლოროფორმი—100

ეს საგოზავი (замазка) მზადდება ცივ ადგილს რამოდენიმე დღის განმავლობაში: გამეკვირვალე საგოზავი უნდა სწრაფად წაესვას, რადგან იგი სწრაფად ქრება.

ეს ორი რეცეპტი გამოსადეგია აგრეთვე წყლის დასამზადებლადაც მხოლოდ უნდა გადიდდეს სამყეს რაოდენობა 4½ ჯერ და ქლოროფორმისა 5-ჯერ.

დასასრულს მოვიყვანთ პატარა სახელოსნოს მოწყობილობის აღწერას. რეზინის კალოშების და შინების დაკერების დროს ხმარობენ ზოგიერთ იმისთანა ნივთიერებას, რომელნიც ძლავრად მოქმედობენ ან სწამლავენ ჰაერს, როგორც მაგალითად: ქლოროფორმი, გოგირდოვანი ნახშირბადი და სხვ. ამიტომ საჭიროა მზადდებოდეს პატარა რაოდენობის რეზინარი: სახმარები ფურჭელი ფურჭელი უნდა მჭიდროდ იხურებოდეს.

სახელოსნო უნდა მოთავსებული იყოს საკმაოვრებელ ოთახების შოშორებით თ ილ და კარგ ვენტილაციით მოწყობილ შენობაში. ცეცხლთან მუშაობა საშიშია და საერთოდ არ არის სასურველი, რომ ამ სახელოსნოში აანთონ ასანთი (სპიჩკა) ან მოსწყონ პაჭიროსი. საჭიროა სახელოსნოში გაიმართოს უბრალო ხელსაწყო (приборъ) მინებით და ჭვრიტინებით (форточка) და მასში ხდებოდეს მუშაობა. ხელსაწყო იმართება ასე: მაგიდა წარმოადგენს საწყოს ძირს, რომელზედაც აკეთებენ მომცრო სარკმლის მინიან ჩარჩოებიდან ყუთს რამოდენიმე ჭვრიტინით. ვენტილიაციისთვის ამ ყუთის სახურავიდან გაჭ ყავთ რკინის მსხვილი მილი, ეს მილი გადის შენობის სახურავში, რომელშიაც მოთავსებულია სახელოსნო.

რასაკვირველია შესაერთებელ ადგილებს უნდა ხურინჯის საგოზავი (суриковая замазка) წაესვას, რათა აირი (газъ) გავიდეს არა სახელოსნოში, არამედ გარედ. თუ ასეთი ამწოვი განჯინა (вытяжой шкафъ) მეორე ან მესამე სართულშია და არა ფარდულში, მაშინ აირ გამყვანის (газоотводъ) მილს მისცემენ ღვიმელის მილს.

მუშაობა სწარმოებს განჯინის გვერდით ორ ჭვრიტინაში, რომელშიაც ხელებს შეჰყოფენ.

სახელოსნოში საჭიროა იყოს პატარა და დიდი საოფთიაქო სასწორი, მაკრატელი, დანა და სხვე საგნები, რომელნიც ჩვენ მიერ უკვე იყო აღწერილი.

წებოების, საგოზავების და სანდალოზის (лакъ) დამზადების დროს ბოთლი ან სხვა ჭურჭელი არ უნდა აივსოს ნახევარზე მეტი არ უნდა ჩაისხას რადგან სამყის ხსნარის თვისებაა გაღღენთვა ყოველი ხსნარის დამზადების დროს საჭიროა თბილადი (температура) იყოს არ ა ნაკლებ 12-13 რეომიურისა. ბოთლი ან სხვა ჭურჭელი ფოჩის ამოკლების შემდეგ უნდა მაშინვე დაიხუროს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხსნარი სქელდება და ფუჭდება. ხსნარი უნდა მზადდებოდეს და ინახებოდეს ზემორე აღწერილ მინის განჯინაში.

ვაჭარ-მრეწველთა მოწოდება

მოქალაქენო!

ჩვენს ქვეყანას საშინელი უბედურება დაატყდა. სტიქიონმა—მიწის ძვრამ გაანადგურა ქართლის სავაჭრო ცენტრი და გული—ქ. გორი და ათიოდე მდიდარი სოფელი.

რამდენიმე ასეული მოკლული და დასახიჩრებული, რამდენიმე ათასი ავადმყოფი, რამდენიმე ათეული ათასი დარჩა შიშველ-ტიტველი, უსახლკარო და ეშმეული. საჭირო არ არის აღწერა ამ უბედურებისა. საკმარისია ითქვას, რომ აქვე, ჩვენს გვერდით მრავალს ათასს ემუქრება სიკვდილი სიცივისა, სიმშილისა და ავადმყოფობის გამო.

დაზარალებულთ მოუნდებათ მეტად დიდი დახმარება. არც სახელმწიფოს, არც სხვა და სხვა ორგანიზაციებს, არც კერძო პირებს არ შეუძლიათ დამარება აღმოუჩინონ მათ.

საჭიროა მიშველება მთელი ჩვენი ქვეყნის, ხალხისა, განურჩევლად ეროვნებისა, სოციალურ მდგომარეობისა.

ვაჭრობა-მრეწველობის მთავარ ორგანოთა შეერთებულმა კრებამ, რომელიც შესდგა სავაჭრო-სამრეწველო პალატის თაოსნობით, აირჩია მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი.

ამასა ეროვნულ გლოვისასა კომიტეტი მიჰმართავს ყველა ვაჭართა, მრეწველთა, ხელოსანთა და მოქალაქეთა სინდისს და გულს:

უშველეთ უბედურებს!

შეიძლება ყოველმა ზედმეტმა მანეთმა შეუნარჩუნოს სიცოცხლე გაუბედურებულს.

შემოწირულებას მიიღებენ ქვემოხსენებული ორგანიზაციები და კომიტეტი წევრნი:

1) **დ. გ. აფაზი** იტალიურ-კავკასიის ბანკი (რუსთაველის პრ.)

2) **სავაჭრო-სამრეწველო პალატა**—ეროვნული საბჭოს ქ. (ყოფ. ფრეილინისა № 11).

3) **მექარხნეთა და მეფაბრიკეთა ს-ბა** (პიროგოვის ქ. 6.)

4) **მარგანეცის მრეწველთა საბჭო** (რუსთაველის პრ., სახლი ებიანცისა)

5) **ხ. ე. წვერავა** ამიერ კავკასიის ბანკი (ლორის-მელიქოვის ქ.)

6) **ა. ნ. მილოვი** და **ვ. ი. ტერ-ზახაროვი** ვაჭართა ბანკი (თავისუფლების მოედანი).

7) **ა. ნ. სეილანოვი** ფაბრიკა ძმ. სეილანოვებისა.

ამასთან ერთად კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ყველა კუთხის ვაჭარ-მრეწველებს დაარსონ სასწრაფოდ ადგილობრივ ასეთივე კომიტეტები და მოგროვილი თანხები გამოგზავნონ ქ. თბილისში ერთ-ერთ ზემოხსენებულ ადრესით.

მთავარი კომიტეტი: სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტისა **დ. გ. აფაზი.**

ჭიათურის მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ეურული.**

თავმჯდომარე მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზ-ს **ა. ი. ხაჩატუროვი.**

ბანკთა კომიტეტის თავმჯდომარე **გ. ი. ტერ-ზახაროვი.**

საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ნ. მილოვი.**

ამიერ-კავკასიის ბანკის საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ე. წვერავა.**

*) მოხსენება ბ-ნ ალ. ჯაბადარისა, რომელიც მოისმინა სავაჭრო სამრეწველო პალატის კომიტეტმა, დაადასტურა და მიართვა ბატონს მთავრობის თავმჯდომარეს და ბატონს ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს. (იხ. „საქართველო“ 19 თებერვლისა).